

## „ვამტკიცებ“

აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაციის  
პრეზიდენტი სალომე მელია

**ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ონლაინ - ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში  
10,12, 14 და 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის 6-7 ივნისი, 2020 წ.**

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორები: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაცია; აჭარის ა.რ. სპორტის დეპარტამენტი;
2. ჩატარების ვადები და ადგილი: 6-7 ივნისი, 2020 წ. საჭადრაკო პლატფორმა chess.com
3. სისტემა და კვალიფიკაცია:  
ტურნირი ტარდება ონლაინ რეჟიმში, ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად.  
მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები  
დაბადებულნი **2010, 2008 , 2006 და 2004 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**  
6 ივნისს ჩატარდება 10 წლამდე კატეგორია 13:00 სთ-ზე და 12 წლ. კატეგორია - 16:00 სთ-ზე.  
7 ივნისს ჩატარდება 14 წლამდე კატეგორია 13:00 სთ-ზე და 16 წლ. კატეგორია - 16:00 სთ-ზე.
4. დროის კონტროლი:  
თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით.
5. ტურნირში სათამაშოდ მონაწილეები უნდა დარეგისტრირდნენ თავიანთი სახელით საჭადრაკო პლატფორმაზე chess.com და შემდეგ გაწევრიანდნენ აჭარის ჭადრაკის ფედერაციის კლუბში - Adjarian Chess Federation.  
ყველა ტურნირის კენჭისყრაში გასაწევრიანებელი გრაფა გამოჩნდება თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე და მასში ჩართვა (Join) შესაძლებელი იქნება თამაშის დაწყების ბოლო წუთამდე.  
(Tournaments – Join)
6. გამარჯვებულები: I, II, III ადგილზე გასული მოჭადრაკეები (გოგონები და ჭაბუკები ცალ-ცალკე) ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაჯილდოვდებიან ფასიანი საჭადრაკო საჩუქრებით.
7. პრიზიორებმა პრიზის აღების დროს უნდა წარმოადგინონ დაბადების მოწმობა.  
რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.
8. ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება კოეფიციენტით და პრიზები არ გაიყოფა;

9. მონაწილენი ვალდებული არიან დაიცვან chess.com - ის საზოგადოების წესები და პრინციპები;
10. მოჭადრაკე მიიღებს დისკვალიფიკაციას თუ აღმოჩნდება, რომ მან ისარგებლა დახმარებით ტურნირის მსვლელობის დროს (კომპიუტერული პროგრამით ან სხვა პირისგან). ის დაიბლოკება პორტალ chess.com - ზე და საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ვერ მიიღებს პრიზს;
11. პარტიებზე განხორციელდება დაკვირვება chess.com - ის 'ანტიჩითინგის' სისტემით.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი  
სალომე მელია  
ელ-ფოსტა [s.melia@acf.ge](mailto:s.melia@acf.ge) ტელ: 599 06 94 97